ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე
სამაგისტრო პროგრამა
პროგრამის ავტორები:
ნუნუ გელდიაშვილი; მანანა ღარიბაშვილი

- *თემატიკა სამაგისტრო გამოცდისათვის*

ა) ქართული ენა (50 ქულა)

ორი თეორიული საკითხი - თითოეული მაქსიმუმ 20 ქულა

1. ენათა მორფოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაცია. ენათა ოჯახები.
2. ენა და დიალექტი. მათი ურთიერთმიმართება; სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები;
3. ქართული სალიტერატურო ენის ბგერითი შედგენილობა; ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.
4. არსებითი სახელის რაობა; ჯგუფები შინაარსის მიხედვით. არსებითი სახელის კატეგორიები, მათი ზოგადი დახასიათება.
5. ზედსართავი სახელის რაობა და ჯგუფები; ხარისხის ფორმები; ბრუნების თავისებურებანი.
6. რიცხვითი სახელის რაობა და ჯგუფები. წარმოება და მართლწერის საკითხები.
7. ნაცვალსახელი ქართულში. პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების თავისებურებანი.
8. ზმნის რაობა და კატეგორიები. პირისა და რიცხვის კატეგორია.
9. ზმნის რაობა და კატეგორიები. გვარის საკითხი ქართულში.
10. სახელზმნა ქართულში.
11. უდეტრები. ზმნიზედა და კავშირი.
12. წინადადების წევრები ქართულსა და ევროპულ ენებში. მათი ზოგადი დახასიათება.
13. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით. მათი ზოგადი დახასიათება.
14. განკერძოება. განკერძოებული სატყვები და გამოთქმები.
15. ლექსიკის სემანტიკური მიმართებები, სინონიმია და ანტონიმია, პოლისემია და ომონიმია; ტროპული მეტყველება; ნასესხები მასალა ლექსიკურ ფონდში, სესხება და კალკირება.

პრაქტიკული დავალება - მაქსიმუმ 10 ქულა

კონკურსანტს მოეთხოვება შესაბამისი ტექსტის გრამატიკულად და სტილისტურად გამართვა.

ძირითადი ლიტერატურა:

1. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ. 1999;
2. ალ. ღლონტი, ქართული ენის ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ.,1988;
3. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980;
4. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977;
5. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქაუთაისი, 1992;
6. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქაუთაისი, 1996;
7. ავ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004;
8. შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული თბ., 2009.
9. თ. სანიკიძე, ი. სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 2009.
10. ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბილისი, 1995წ.
11. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თსუ გამომც. თბ., 1979წ.

ბ) უცხო ენაში-ინგლისური/გერმანული/რუსული (50 ქულა) აპლიკანტს ევალება:

1. მოკლე ტექსტის თარგმნა უცხო ენიდან ქართულად (20 ქულა);
2. მოკლე ტექსტის თარგმნა ქართულიდან უცხო ენაზე (20 ქულა);
3. თავისუფალი თემის დაწერა შესაბამის უცხო ენაზე (10 ქულა).

მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ საკონსულტაციოდ დაგეგმილი საათებით!